დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 8

ქ. დმანისი 18 აგვისტო 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. ემილ იბრაგიმოვი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. შალვა ღამბარაშვილი
11. მიხეილ დაუთაშვილი
12. შახინ კოიალოვი
13. სტამბულ ისაევი
14. გამლეტ ისმაილოვი
15. შოთა აკობაშვილი
16. კახა ოქრიაშვილი
17. გუმბათ იუსუბოვი
18. კახა დევნოზაშვილი
19. გუსეინ ისმაილოვი
20. თეიმურაზ აფრასიძე
21. გურანდა ქოჩორაძე
22. ემილ იბრაგიმოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ტატულაშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი ლ. მანთაშაშვილი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ნ. ომიაძე, ეკონომიკის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნ. სამადაშვილი.

სხდომის მდივანი: აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 35

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი

დღის წესრიგი:

1	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის №გ-109.109223429 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

4	**განკარგულება:** ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №გ-109.109230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ლ.მანთაშაშვილი**

5	**განკარგულება:** სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

6	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,სელფი მობაილისათვის'' ქ. დმანისში, წმ.ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

7	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (თამუნა აკობაშვილი)

მომხსენებელი:	**ნ.სამადაშვილი**

8	**განკარგულება:** „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**ნ. ომიაძე**

9	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:	**თ.ციხელაშვილი**

1.მომხსენებელი: თემური ტატუაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ;''

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (20%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის და მიღწეული შედეგების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართებით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი: 0

2. მომხსენებელი : თ. ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის №გ-109.109223429 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ''

,,დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების თაობაზე'', დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 08 დეკემბრის №გ-109.109223429 განკარგულების თანდართულ დანართში შესატანია ცვლილება, კერძოდ:

,,გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია:''

ა) სოფელ ვაკის შიდა გზის რეაბილიტაცია - 226354 ლარი;

ბ) ქ. დმანისში ვახტანგ გორგასლის ქუჩისა და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია- 435561 ლარი;

გ) ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზიდან სოფელ მაშავერაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 548608 ლარი.

,,მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რაებილიტაცია:"

დ) ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსისა და საცურაო აუზის მშენებლობა-6 899 331 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კ.ოქრიაშვილმა, ლ.ბერუაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

3. მომხსენებელი : ლ. მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №g-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

პუნქტი 3 „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია“ შემცირდა 35392 ლარით. ტენდერის დასრულების შედეგად მორჩენილი თანხა.

პუნქტი 6 „წყაროდან წყლის მიწოდება ლოქჭანდარის საზღვარზე“ სამუშაოების დასრულების შედეგად მორჩენილი თანხა 3343 ლარი.

პუნქტი 7 „დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის შგზის 0 კილომეტრზე "მე მიყვარს დმანისი" -ს წარწერის მოწყობის სამუშაოები“ ის დასრულების შედეგად მორჩენილი თანხა 12841 ლარი.

პუნქტი 12 „ქ. დმანისში შემოსასვლელში არსებული სასაფლაოს შემოღობვი“-ს სამუშაოების დასრულების შედეგად მორჩენილი თანხა 6483 ლარი.

აღნიშნული თანხა გადატანილი იქნა პუნქტ 11 -ში „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა“-ში 58059 ლარი და შეადგინა 280559 ლრი.

პუნქტი 8 „2023 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება“ გაიზარდა 60522 ლარით. რეგ ფონდიდან გამოყოფილი დამატებით 1150000 ლარის თანადაფინანსებისთვის

დანართი N2

N	რეგიონი	ენიციპალიტეტი	როექტის დასახელება	ატეგორია	როექტის სრული ღირებულება (საპროექტო ოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	.შ. მიმდინარე ლს ფონდიდან ოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება
1	მო ქართლი	დმანისი	სოფ ვაკის შიდა გზის რეაბილიტაცია	გზები	226,354	215040	11,314
2	მო ქართლი	დმანისი	ქ. დმანისში ვახტანგ ორგასლის ქუჩისა და ოლასთან მისასვლელი ზის რეაბილიტაციის სამუშაოები	გზები	435,561	413783	21,778

3	მო ქართლი	დმანისი	ონიჭალა - მარნეული - ბგუთის საავტომობილო ხიდან სოფ. მაშავერაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო ამუშაოების პროექტი. ტომი 2	გზები	548,608	521177	27,430
	ჯამი				1,210,522	1150000	60522

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

4. **მომხსენებელი : ლ.მანთაშაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 მარტის №გ-109.109230895 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2023 წელს სოფლის პროგრამით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

თავდაპირველად სოფლის კრებების შედეგად შერჩეული პროექტებში სოფელ სარკინეთში სოფლის მოსახლეობას მოთხოვნილი ჰქონდათ სასმელი წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც არის ტექნიკური და არ არის სასმელად ვარგისი, ასევე არის სეზონური (სეზონის მშრალ პერიოდში წყლის დებეტი არ აქვს) და მის ნაცვლად უნდა მოეწყოს სოფლის ცენტრში სავარჯიშო ტრენაჟორები.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: პ. ყულიაშვილმა.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

5. **მომხსენებელი: ნ. სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სახელმწიფოსათვის დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,''

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 01 აგვისტოს N 6/41641 წერილით მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტომ და ითხოვა შპს "მაშავერა-ჰესის" (ს.ნ. 428889401) 2023 წლის 28 ივლისის N28/07-01 განცხადების საფუძველზე, რომლითაც დასმულია საკითხი, საქართველოს მთავრობასთან 2022 წლის 25 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მდინარე მაშავერაზე ელექტროსადგურის „მაშავერა ჰესის“ მშენებლობის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტში, მდინარე მაშავერის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 82.04.41.305) პირდაპირი ფორმით, 49 წლის ვადით, აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა, რისთვისაც საჭიროა საკრებულოს თანხმობა, გთხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის თანახმად დმანისის მუნიციპალიტეტის მდინარე მაშავერის მიმდებარედ მდებარე 28480 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N82.04.41.305)

აზრი გამოთქვეს: კ.ოქრიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, გადაეცეს სახელმწიფოს აღნიშნული მიწის ნაკვეთი.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

6. **მომხსენებელი: ნ.სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი- ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,სელფი მობაილისათვის'' ქ. დმანისში, წმ.ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;''

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, საჭიროა მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს საკრებულს თანხმობა რათა გადასცეს მობილური კავშირგაბმულობის კომპანია შპს ,,სელფი მობაილს'', ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538,00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.01.46.081) განთავსებული 2035,00 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 12,00 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 1 (ერთი) წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 700 (შვიდასი) ლარი თვეში.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, მიეცეს მერს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

7. **მომხსენებელი: ნ.სამადაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხელოს გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე,''

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.ე) ქვეპუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 16 აგვისტოს №108-1082322849 წერილის შესაბამისად, საჭიროა მიეცეს საკრებულოს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ დმანისში მცხოვრების, მოიჯარე თამუნა აკობაშვილის მიერ, №7 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამატეხელოს 128,70 (ასოცდარვა ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს პირგასამტეხელოსაგან გათავისუფლების თაობაზე.

მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

8. **მომხსენებელი: ნ.ომიაძემ** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;''

1. **განკარგულების მიღების საფუძველი:**

   ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

   ბ) საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლი;

2. **განკარგულების მიღების მიზანი:**

განკარგულების მიზანს წარმოადგენს, „დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

3. **განკარგულების ძირითადი არსი:**

„დმანისის მუნიციპალიტეტში უმაღლესი განათლებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით წარჩინებულ სტუდენტთა და წარმატებული (პრიზიორი) სპორტსმენების წახალისების ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N88 08 განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1 - ის შემდეგი მუხლების/ქვეპუნქტების შესწორება და ჩამოყალიბება ახალი რედაქციით:

მუხლი 1.4 დაფინანსება ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის კულტურული ღონისძიებების (05 02 04) ფარგლებში";

მუხლი 3.1 ყოველთვიური ფულადი წახალისება შეიძლება გაიცეს სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ვ) არის სოციალურად დაუცველი სტუდენტი (ოჯახს მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო სოციალური ქულა), რომელიც სწავლობს სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი –მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ზ) „1+4“ პროგრამით მოსარგებლე, კერძოდ ე.წ ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო კურსის სტუდენტი/მსმენელი, რომელიც სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (A)ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

თ) „1+4“ პროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი სტატუსის (მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულა) ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო კურსის სტუდენტი/მსმენელი, რომელიც სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

3.2. წარჩინებული სტუდენტების ყოველთვიური ფულადი წახალისების გაცემა:

დ) „1+4“ პროგრამით მოსარგებლე, სოციალურად დაუცველი სტატუსის (მინიჭებული აქვს 0-დან 100 001-მდე სარეიტინგო ქულა) სტუდენტი/მსმენელი, სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით (მიმდინარე სასწავლო წლის 1 მარტიდან 1 აგვისტომდე და 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე).

4. **განკარგულების პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე**

განკარგულებას გავლენა ექნება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ყოველწლიურად თითოეულ A შეფასების ბენეფიციარზე -1500 ლარი, B შეფასების ბენეფიციარზე - 1000 ლარი, ხოლო სპორცმენ ბენეფიციარზე - 1200 ლარი.

აზრი გამოთქვეს: რ.რამაზანოვმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 22

წინაღმდეგი:0

9. **მომხსენებელი: თ.ციხელაშვილმა** საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი -,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე,''

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით მიმართა საკრებულოს წევრმა (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე) ნატიგ ოვჩიევმა კუთვნილი საწვავის - ბენზინის დიზელით ჩანაცვლების თაობაზე, საჭიროა შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტის განსაზღვრის შესახებ''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივლისის №51 08 განკარგულების თ) ქვეპუნქტში და აცმოყალიბდეს ახალი რეადქციით:
,,თ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომრის მოადგილეები (7) – (4)-100 ლიტრი ბენზინი თითოეულს, (3)-100 ლიტრი დიზელი თითოეულს.''

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ცვლილება.

მომხრე: 22
წინაღმდეგი:0

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: თინათინ ციხელაშვილი